

ლიტერატურის ტესტი აბიტურიენტებისათვის

15-ქულიანი წაკითხულის გააზრება

წაკითხეთ პაოლო იაშვილის ლექსი “მელორის ლოცვა”, უპასუხეთ შეკითხვებს:

მელორის ლოცვა უფალო,
უსმინე შავარდენს, მის ხელით
გიგზავნი ბარათს, მომხედე
ცოდვებში ჩავარდნილს,
ცოდვებში ჩავარდნილს მარად.
როგორც რომ ბურვაკი პალოზე,
ეზოში ბაწარით აბია, უფალო,
მოხედე, დალოცე, მელორე,
ცრემლების ყლაპია. უფალო,
მომეცი სამხარი, ძალღივით
ამოსულს ცაზე, და შენი პერანგი,
ნახმარი, ჩამაცვი ცოდვიან ტანზე.
მომეცი ბავშვებში გართობის და
მათთან თამაშის ნება, უფალო, შენ
გარდა არავის, არა აქვს ამის
უფლება.

ფიქრები სამწყემსავ ღორებზე,
ყოველდღე ცრემლებად მსჯიდა,
უფალო, გალავნის ყორეზე, დამნიშნე
ბელურა-ჩიტად. ტექსტის
გააზრება

1) რომელი მხატვრული ხერხია?

“როგორც რომ ბურვაკი პალოზე,
ეზოში ბაწარით აბია...”

ა) შედარება ბ) გაპიროვნება გ) მეტაფორა. **2)**

ახსენით, ვის სახეს ენათესავება მეღორის სახე?

ა) “ვაფხისტუაოსნის” ტარიელისას ბ) სახარების უძღვები შვილისას გ) ილიას განდეგილისას

3) რას ითხოვს ლირიკული გმირი ამ სიტყვებით?

“და შენი პერანგნი, ნახმარი,
ჩამაცვი ცოდვიან ტანზე...”

ა) სარჩო-საბადებლის მიცემას ბ) სიკვდილს გ) ცოდვების შენდობას.

4) რა სურს ლექსის მთავარ გმირს ამ სიტყვებით?

“მომეცი ბავშვებთან თამაშის ნება”

ა) ბავშვებით წმინდად წარმოიდგინოს თავი ბ) ბავშვებით შეიყვაროს ღმერთმა

გ) ბერწს შვილი მისცეს უფალმა. **5)**

რისი სიმბოლოა “გალავნის ყორე”?

ა) სამშობლოსი ბ) დაკარგული ბრძნიერებისა გ) სამოთხისა.

6) რომელი მხატვრული ხერხია “ბელურა ჩიტი”?

ა) ეპითეტი ბ) ჰიპერბოლა გ) მეტაფორა.

7) რომელ ლეტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება პაოლო იაშვილის ეს ლექსი?

ა) რომანტიზმს ბ) იმპრესიონიზმს გ) სიმბოლიზმს.

8) ლექსის ლირიკული გმირი არის;

ა) პოეტის სიმბოლური სახე ბ) ზოგადად, ქართველის სიმბოლური სახე გ) ნებისმიერი ცოდვილის სიმბოლური სახე.

9) იპოვეთ და გაასწორეთ გრამატიკული შეცდომა ამ სტრიქონებში:

“უფალო, უსმინე შევარდენს, მის

ხელით გიგზავნი ბარათს...”

10) რას ნიშნავს აქ სიტყვა “მარად”? “მომხედე ცოდვებში ჩავარდნილს, ცოდვებში ჩავარდნილს მარად...”

ა) იმას, რომ ლირიკული გმირი მთელი ცხოვრება ცოდვებს იდენს; ბ) იმას, რომ ლირიკული გმირი მთელი ცხოვრება ცოდვებს ინანიებს; გ) იმას, რომ კაცობრიობის ცოდვები მარადიულია.

11) რას ნიშნავს ამ ტექსტში სიტყვა “ბურვაკი”?

ა) შესაწირ ხარს ბ) ძროხას გ) ღორს.

12) იპოვეთ და გაასწორეთ მორფოლოგიური შეცდომა ამ სტრიქონებში:

“როგორც რომ ბურვაკი პალოზე,

ეზოში ბაწარით აბია...”

13) რას ნიშნავს ფრაზა: “ფიქრები სამწყემსავ ღორებზე, ყოველდღე ცრემლებად მსჯიდა...”

ა) მას არ მოსწონდა, ეთაკილებოდა და ეძნელებოდა სამსახური; ბ) მას ენატრებოდა სახლი და მუდამ ტიროდა; გ) ის გამუდმებით ინანიებდა ჩადენილ ცოდვებს.

14) სიტყვები: “გალავნის ყორეზე დამნიშნე ბელურა ჩიტად.”

ა) არის იმედი იმისა, რომ ღმერთი მაინც შეუნდობს; ბ) არის მოთხოვნა, რომ ღმერთმა შეუნდოს; გ) არის დასტური იმისა, რომ შენდობა მას ძალიან სჭირდება.

15) რას ნიშნავს “ბელურა ჩიტის” მეტაფორა?

ა) რომ გმირი ძალიან თავმდაბალია; ბ) რომ გმირი ძალიან ცოდვილია; გ) რომ გმირი ძალიან უმწეოა.